დამკვეთი: მარიანა მამაჯანოვი (მოზ: 593478478)

მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ბ. აბესაძე №7

ფუნქცია: სასტუმრო (რეკონსტრუქცია)

ნებართვის გამცემი ორგანო: ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. მის: შარტავას ქ. №7

იწყება ადმინისტრაციული საქმის წარმოება არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებათვის გაცემის თაობაზე. საქმის წარმოების ვადა: 03.11.2020-დან 20 სამუშაო დღე

შენობის სართულიანობა: 6
ბაბარიტები: სიმაღლე-18,70; სიგრძე-10,0; სიგანე-18,00

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების რეკვიზიტები: გადაწყვეტილების №1659326, თარიღი 26.12.2014



სპეციფიკაცია

N	ობიექტი	დასახელება	რაოდენობა	მასალა	ფერი	ადგილი	შენიშვნა
1)		მოაჯირი I	(1)	მეტალი რკინა	შავი	დაუზიანებელი	
2)		მოაჯირი II	(12)	მეტალი რკინა	შავი	დაუზიანებელი	
3)		მოაჯირი III	(9)	მეტალი რკინა	შავი	დაუზიანებელი	
4)		კარი I	(3)	მეტალოპლასტმასი	შავი	დაუზიანებელი	
5)		კარი II	(4)	მეტალოპლასტმასი	შავი	დაუზიანებელი	
6)		კარი III	(12)	მეტალოპლასტმასი	შავი	დაუზიანებელი	
7)		ფანჯარა	(9)	მეტალოპლასტმასი	შავი	დაუზიანებელი	

თბილისში კრწანისის რაიონში აბესაძის ქუჩაზე (№9) მდებარე სარეკონსტრუქციო შენობის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

კვლევის ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, კერძოდ ქვემო კალაში გ. აბესაძის ქუჩაზე, ლესელიძის ქუჩასა და გ. აბესაძის ჩიხს შორის არსებულ ნაკვეთზე.





შენობა წარმოადგენს ვარდისფრად შეღებილ ერთსართულიან საცხოვრებელ სახლს, ორქანობიანი სახურავით, ოთხკუთხა ღიობებით, რომელიც აბესაძის ქუჩის მარჯვენა ნაპირის გრძივ განაშენიანებაშია მოქცეული.



აბესაძის ქუჩა სათავეს იღებს ლესელიძის ქუჩიდან და მიემართება გუდიაშვილის მოედნისკენ. კალასთვის დამახასიათებელ ამ ვიწრო და მოკლე ქუჩის განაშენიანებაში სხვადასხვა დროს აგებული განსხვავებული ფუნქციის შენობებია წარმოდგენილი: საკულტო, საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულებისა. ქუჩის საწყისი მონაკვეთის სივრცით-მოცულობით სტრუქტურაში თავისი მასშტაბითა და გარეგნული სახით გამოირჩევა კათოლიკური ეკლესია იტალიური გოთიკისთვის დამახასიათებელი არქიტექტურით (მე-20 ს-ის ბოლოს ჩაუტარდა

სარეაბილიტაციო სამუშაოები), რომელიც კვლევის ობიექტის საპირისპირო მხარეს მდებარეობს.



შედარებით მსხვილი მასშტაბით ყურადღებას იქცევს მის მოპირდაპირედ მდებარე 5სართულიანი ტერასული სასტუმრო „CITY“, რომლის სადა კრემისფერი ფასადი დამუშავებულია ფართო ღიობებითა და ლითონის ორნამენტული ფრანგული აივნებით, ხოლო დამასრულებელი სართული შემინული ლითონის მსუბუქი კონსტრუქციებითაა წარმოდგენილი.





სასურველი იყო სასტუმროს სართულიანობა 4 სართულით შეზღუდულიყო, დაშენების გარეშე, რომელიც ამოვარდნილია შენობის საერთო ხასიათიდან და ამავე დროს მის პირდაპირ მდებარე კათოლიკური ეკლესიის დომინანტურობას ერთგვარად აკნინებს (სასტუმროს ძირითადი მოცულობა აგებულია 2007წ., ხოლო ზედა შემინული სართული უფრო გვიანაა დაშენებული). სასტუმრო უშუალოდ ესაზღვრება სარეკონსტრუქციო შენობის ეზოს. მეორე მხრივ კვლევის ობიექტს ებჯინება ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ცალქანობიანი სახურავით (გ. აბესაძის №11), რომლის გვერდზე (№13) შენობა დღესდღეობით დანგრეულია. ეს სხვადსხვა პერიოდში აგებული ორივე საცხოვრებელი სახლი არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით არ არის ფასეული. ლესელიძის ქუჩიდან გ. აბესაძის ჩიხამდე არსებული გ. აბესაძის ქუჩის მონაკვეთის მარჯვენა ნაპირის განაშენიანებაში გარეგნული სახით გამოირჩევა რენესანსული მოტივებით დამუშავებული ორი

საცხოვრებელი სახლი (№№1,3), ხოლო მარცხენა განაშენიანებაში კათოლიკური ეკლესიის გვერდზე მდებარე, ასევე რენესანსული ხასიათის ბოლო ათწლეულში რესტავრირებული საცხოვრებელი სახლი №6 და სახლი № 8. სასტუმრო „CITY“ -ს ებჯინება უფრო გვიან აგებული სასტუმრო, რომლის ფასადი - შიშველი აგურის კედლის სიბრტყისა და თეთრი კლასიკური პროფილის სვეტების ერთგვარი პოსტმოდერნისტული სინთეზი - ეკონტრასტება სასტუმრო „CITY“-ს გარეგნულ სახეს. მიუხედავად იმისა, რომ არის მცდელობა მათი მხატვრული ელემენტებით (კერძოდ ლითონის მსგავსი ორნამენტული აივნების გამოყენება) შესაბამისობაში მოყვანისა, იქმნება არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ჭრელი სურათი, რაც არღვევს ქუჩის ამ მონაკვეთის ჰარმონიულობას, სადაც ვფიქრობ კათოლიკური ეკლესიის მნიშვნელობა გაცილებით გამოკვეთილი უნდა ყოფილიყო.

სტატუსი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის №3/181 ბრძანების დანართი №1–ის საფუძველზე კვლევის ობიექტი რიგით განაშენიანებას ეკუთვნის. მისი გარემოცვიდან შენობები გ. აბესაძის ქ. №№1/9, 3, 6, 8, 13/2, 15, 12 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია, კათოლიკური ეკლესია ეროვნული მნიშვნელობისა, ხოლო გ. აბესაძის ქ. №№5, 3, 13, 14 ფონურია. კვლევის ობიექტის განთავსების ადგილი 2007 წლის მდგომარეობით თბილისის ისტორიულ–კულტურული საყრდენი გეგმის მიხედვით (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაშია მოქცეული.

ადგილმდებარეობის ისტორია

გ. აბესაძის (ყოფ. ფრანგების, შემდგომ კათოლიკეების, შემდგომ პირველი მაისის) ქუჩა ე.წ. ქვემო კალაში ლესელიძის (ყოფ. შუა ბაზარი, სომხის ბაზარი, შემდგომ ქურქის რიგი, შემდგომ პრომკოოპერაციის) ქუჩასა და გუდიაშვილის (აბას-აბადის, შემდგომ ალავერდოვის) მოედანს შორის წარმოიქმნა. როგორც თბილისის პირველი გრაფიკული მასალები მოწმობენ ამ ადგილას იდგა ტაძარი: ჟან შარდენის ჩანახატზე (1670) გამოსახულია უბანი ეკლესიით, რომელსაც ის კაპუცინებისას უწოდებს. იმავე ადგილას ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმაზე (1735) ლათინთ საყდარია მითითებული, პიშჩევიჩის გეგმაზე (1785) კი - კათოლიკური ეკლესია. ამასვე მოწმობს პორუჩიკ ჩუიკოს 1800 წლის გეგმაც. აქვე კათოლიკი პატრის ფილიპეს სახლი მდგარა. ყოველივე ამის გამო დაერქვა ქუჩას ფრანგების სახელი.



შარდენის ჩანახატი



ვახუშტი ბატონიშვილის გეგმა



პიშჩევიჩის გეგმა

საყდარი, როგორც ზემოაღნიშნული გრაფიკული მასალებიდან ჩანს, ამჟამინდელი აბესაძის ქუჩიდან მარჯვნივ სიღრმეში, აბესაძის ჩიხისკენ იდგა. დღეს ტაძარი აბესაძის ქუჩის მარცხენა დასაწყის მონაკვეთზე დგას. ის მე-19 ს-ის გეგმებზე სწორედ ამ ადგილას არის გამოსახული.



1867

ჩვენამდე 1893 წლის ტაძარმა მოაღწია, რომელშიც საბჭოთა პერიოდში სპორტული დარბაზი იყო მოწყობილი. 1997 წ. სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ მას პირველადი ფუნქცია დაუბრუნდა. აბესაძის ქუჩის მნიშვნელობას სწორედ ეს ტაძარი განსაზღვრავდა. ვახუშტი ბატონიშვილის გეგმის მიხედვით ეს უბანი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, თუმცა სპარსელების გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ მისი განახლება მე-19 საუკუნეში მოხდა. ძირითადად ქუჩის გრძივ განაშენიანებას ერთ-სამსართულიანი ეკლექტიკური (ძირითადად რენესანსულ-ბაროკული) საცხოვრებელი სახლები წარმოადგენდნენ.

კათოლიკური ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს არსებული ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია ბოლო წლებში განხორციელებულ მშენებლობამდე გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდში აგებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლებით იყო წარმოდგენილი, რომელთა არქიტექტურული სახე ქუჩის მხატვრულად საკმაოდ დატირთულ განაშენიანებაში გაცილებით ნაკლებღირებული იყო გარემოცვასთან შედარებით. მათგან ერთი სარეკონსტრუქციო ობიექტია.

დასკვნები და რეკომენდაციები

გ. აბესაძის ქუჩის საწყისი მონაკვეთი ლესელიძის ქუჩიდან გ. აბესაძის ჩიხამდე მოიცავს საკულტო (კათოლიკური ტაძარი), საცხოვრებელი დანიშნულების და საზოგადოებრივ (ორი სასტუმრო) ნაგებობებს. ტაძრის არქიტექტურა ძალზედ მნიშვნელოვანია ქუჩის ამ მონაკვეთის კომპოზიციურ გადაწყვეტაში. ქუჩის მარცხენა ნაპირი, სადაც ტაძარია განთავსებული, გაცილებით მოწესრიგებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მარჯვენა განაშენიანება, სადაც კვლევის ობიექტი დგას. მარჯვენა განაშენიანების ქაოტური ხასიათი და არაერთგვაროვანი ღირებულება, კონტრასტი მოცულობათა მასშტაბის თუ მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით მოითხოვს სახეცვლილებას. სასურველი იქნებოდა ახალაშენებულ შენობებს უფრო მეტად ჰქონოდათ ფონური ხასიათი ტაძართან მიმართებაში, როგორც მასშტაბის (სასტუმრო „CITY“-ს გვიანი დაშენების შედეგი), ასევე მხატვრული გადაწყვეტის (სასტუმრო „CITY“-ის მომიჯნავედ მდებარე სასტუმროს ფასადი), თვალსაზრისით. ამ ერთგვარად ჭრელ სურათს აძლიერებს არსებული გარემოსთვის შეუსაბამო ერთსართულიანი ორი საცხოვრებელი სახლი, რომელთაგან ერთი სარეკონსტრუქციო ობიექტია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სასურველია:

ერთსართულიანი სარეკონსტრუქციო ობიექტისა და მის გვერდზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სახეცვლილება იმგვარად, რომ ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ არსებულ განაშენიანებასთან;

დასაშვებია საცხოვრებელი სახლების სიმაღლის გაზრდა სამ სართულამდე, რაც განაშენიანების საშუალო სიმაღლეა, გარემომცველ ნაგებობებთან მიმართებაში სამშენებლო ნორმების დაცვის გათვალისწინებით;

მათი მხატვრული სახე უნდა გადაწყდეს მოპირდაპირედ მდებარე ტაძრის მხატვრული სახის წამყვანი როლის გათვალისწინებით;

შესაძლებელია სარეკონსტრუქციო ობიექტის ფასადის სასტუმრო „CITY“-ის მსგავსი მხატვრული სახით გადაწყვეტა, მითუმეტეს, რომ ფუნქციურად ის სასტუმრო კომპლექსის ნაწილად მოიაზრება.

არქიტექტურის აკადემიური დოქტორი / მაია ძიძიგური/